



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პედაგოგიური ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა

დაწყებითი განათლება

1. პროგრამის დასახელება: დაწყებითი განათლება

2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების ბაკალავრი
Bachelor of Education

3. პროგრამის განმხორციელებელი ფაკულტეტი და სტრუქტურული ერთეულები:

პედაგოგიური ფაკულტეტი, პედაგოგიკის დეპარტამენტი, სწავლების მეთოდოლოგიათა დეპარტამენტი

4. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანია: მომზადდეს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციის მქონე I-VI კლასების პრაქტიკოსი მასწავლებლები, რომელთაც შესწევთ უნარი, მიღებული ცოდნა ეფექტურად გამოიყენონ პრაქტიკაში.

შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები:

პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს პედაგოგიკის ძირითად ცნებებს, სწავლებისა და აღზრდის თანამედროვე მეთოდებს, შეფასების ფორმებს, კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს, ზეპირ და წერით მეტყველებას, I-VI კლასებისათვის საჭირო ქართული ენის, მათემატიკის, სახვითი ხელოვნების, ფიზიკური, შრომითი და მუსიკალური აღზრდის სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ფორმებს, ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიის ძირითად ცნებებსა და დებულებებს, უცხო ენას და სამედიცინო ცოდნის საფუძვლებს, ესთეტიკური აღზრდისა და შეფასების უნარ-ჩვევებს, რელიგიური აღზრდის, კულტურის ისტორიის აქტუალურ საკითხებს, სოციალური მუშაკისათვის საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. მათ შეუძლიათ პედაგოგიკაში შემოქმედებითი, ინოვაციური იდეების გენერაცია, კრიტიკული იდეებისა და ჰიპოთეზების შექმნა პედაგოგიკის სფეროში, გააჩნიათ საჭირო ანალიტიკური უნარ-ჩვევები ამ იდეების მეცნიერული შეფასებისა და პრაქტიკაში განხორციელებისათვის.

ზოგადი კომპეტენციები

- კრიტიკული აზროვნების უნარი
- კომუნიკაციის უნარი
- სასწავლო პროცესში წამოჭრილი პრობლემების ირგვლივ ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და გადაჭრის უნარი
- პრაქტიკაში სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვის ცოდნა
- თანამშრომლობის უნარი მოსწავლეებთან და კოლეგებთან

დარგისთვის სპეციფიკური კომპეტენციები

- პედაგოგიური მეცნიერებების ცოდნა
- სწავლების (სწავლის) მიზნების, შინაარსის, მეთოდების და თავად სასწავლო პროცესის პროექტირების ცოდნა
- საქართველოს და მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემების ცოდნა
- განათლების სისტემისათვის საჭირო დარგების ცოდნა და პრაქტიკული გამოყენების უნარი
- ტრენინგის წარმართვის თეორიისა და პრაქტიკის ცოდნა

- სწავლებისა და სწავლის ინოვაციური მეთოდების დანერგვის ცოდნა
- სასწავლო პროცესში ჰიგიენური და ჯანმრთელობის დაცვის საკითხების ცოდნა
- სწავლების ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის ცოდნა

დასაქმების სფეროები:

დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდის სპეციალობის კურსდამთავრებულები დასაქმდებიან ზოგადსაგანმანათლებლო, საჯარო და კერძო სკოლებში ელემენტარული სკოლის ინტეგრირებულ და საგნობრივ მასწავლებლებად, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორში სოცალური მუშაკის სტატუსით.

5. პროგრამაზე მიღების წინაპირობები

დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამაზე შემოსვლის მსურველს უნდა ჰქონდეს სრული საშუალო, ან მასთან გათანაბრებული განათლება და წარმატებით ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები.

6. პროგრამის სტრუქტურა

№	კურსი	სკ	ლ/ პრ/ ს /ლაზ	კრედიტების რაოდენობა	სემესტრები								წინაპირობა
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
პროგრამის სავალდებულო კურსები (225 კრედიტი)													
1	უცხო ენა 1 (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)	3	0.3.0.0	5	5								
2	უცხო ენა 2 (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)	3	0.3.0.0	5		5							
3	ინფორმაციული ტექნოლოგიები	3	1.0.0.2	5	5								
4	საქართველოს ისტორია	3	2.1.0.0	5	5								
5	ზოგადი ფსიქოლოგია	3	2.1.0.0	5	5								
6	ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია	3	2.1.0.0	5		5							
7	სოციალური ფსიქოლოგია	3	2.1.0.0	5			5						
8	ფილოსოფია	3	2.1.0.0	5			5						
9	პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები	3	2.1.0.0	5		5							
10	სწავლების თეორია - 1	3	2.1.0.0	5			5						
11	სწავლების თეორია -2	3	2.1.0.0	5				5					
12	აღზრდის თეორია	3	2.1.0.0	5					5				
13	დეფექტოლოგია-ლოგოპედია და ინკლუზიური სწავლება	3	2.1.0.0	4						4			
14	სკოლის მართვა და ორგანიზაცია	2	1.1.0.0	4							4		
15	განათლების ისტორია	2	1.1.0.0	4								4	
16	ქართული ლიტერატურის ისტორია	3	2.1.0.0	5							5		
17	სამედიცინო ცოდნის საფუძვლები	3	2.1.0.0	5			5						
18	კულტურის ისტორია	2	1.1.0.0	3							3		
19	საბავშვო ლიტერატურა	3	2.1.0.0	5								5	
20	ქართული ენა - 1	3	2.1.0.0	5	5								
21	ქართული ენა - 2	3	2.1.0.0	5		5							
22	ქართული ენა - 3	3	1.2.0.0	5			5						
23	ქართული ენა - 4	3	1.2.0.0	5				5					
24	ქართული ენა - 5	3	2.1.0.0	5					5				
25	ქართული ენა - 6	3	1.2.0.0	4						4			
26	ქართული ენა - 7	2	1.1.0.0	3							3		
27	ქართული ენა - 8	3	1.1.0.0	3								3	
28	მათემატიკა - 1	3	1.2.0.0	5	5								
29	მათემატიკა - 2	3	1.2.0.0	5		5							
30	მათემატიკა - 3	3	1.2.0.0	5			5						
31	მათემატიკა - 4	3	1.2.0.0	5				5					
32	მათემატიკა - 5	3	1.2.0.0	5					5				
33	მათემატიკა - 6	3	1.2.0.0	4						4			
34	ბუნებისმცოდნეობა სწავლების მეთოდით (ადამიანი და გარესამყარო; ფიზიკისა და ასტრონომიის ელემენტები)	3	2.1.0.0	5				5					
35	ბუნებისმცოდნეობა სწავლების მეთოდით (ცოცხალი სამყარო; ქიმიის ელემენტები)	3	2.1.0.0	5					5				

36	ქართული ენის სწავლების მეთოდика - 1	3	1.2.0.0	5					5			
37	ქართული ენის სწავლების მეთოდика - 2	3	1.2.0.0	5					5			
38	ქართული ენის სწავლების მეთოდика - 3	2	1.1.0.0	3						3		
39	ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდика	3	2.1.0.0	4							4	
40	მათემატიკის სწავლების მეთოდика - 1	3	1.2.0.0	5				5				
41	მათემატიკის სწავლების მეთოდика - 2	3	1.2.0.0	5					5			
42	მათემატიკის სწავლების მეთოდика - 3	3	1.2.0.0	4						4		
43	მათემატიკის სწავლების მეთოდика - 4	3	1.2.0.0	5							5	
44	ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდика	3	1.2.0.0	5	5							
45	შრომითი აღზრდის სწავლების მეთოდика	3	1.2.0.0	5			5					
46	მუსიკალური აღზრდის სწავლების მეთოდика	3	1.2.0.0	5			5					
47	სახვითი ხელოვნების სწავლების მეთოდика	2	1.1.0.0	4							4	
48	პედაგოგიური პრაქტიკა - 1	-		3					3			
49	პედაგოგიური პრაქტიკა - 2	-		3						3		
პროგრამის არჩევითი კურსები (15 კრედიტი - 3 კურსი)												
1	არჩევითი კურსი - 1	3	2.1.0.0	5					5			
1.1	განათლების მენეჯმენტი											
1.2	ესთეტიკა											
1.3	ქართული ეთნოლოგია											
2	არჩევითი კურსი - 2	3	2.1.0.0	5						5		
2.1	მასწავლებლის პედაგოგიური ხელოვნება											
2.2	საგანმანათლებლო სისტემები											
2.3	მუსიკალურ-რიტმული აღზრდა											
3	არჩევითი კურსი - 3	3	2.1.0.0	5							5	
3.1	ფიზიკური აღზრდის სწავლების მეთოდика											
3.2	საგუნდო კლასი											
სულ				240	30	30	30	30	30	30	30	30

7. პროგრამით გათვალისწინებული კურსების მოკლე ანოტაციები

I კურსი, I სემესტრი

1. ქართული ენა -1 (5 კრედიტი)

კურსის კოდი: PMB0260

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ენის რაობა, მისი ზოგადი დახასიათება; ქართველური ენები, ქართული სალიტერატურო ენა და დიალექტები; სალიტერატურო ენის დასაბამი და განვითარების საფეხურები; ლექსიკოლოგიის საკითხები; ფრაზეოლოგია; ლექსიკოგრაფია; ფონეტიკა და გრაფიკა

2. მათემატიკა - 1 (5 კრედიტი)

კურსის კოდი: PMB0100

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სიმრავლის ცნება. სიმრავლის ელემენტი. ცარიელი სიმრავლე. სიმრავლის მოცემის ხერხები. მიმართებანი სიმრავლეთა შორის: თანაკვეთის მიმართება, ჩართვის მიმართება და ტოლობის მიმართება. უნივერსალური სიმრავლე. სასრული სიმრავლის ქვესიმრავლეთა რიცხვი. რიცხვითი სიმრავლეები. წრფეზე წერტილის კოორდინატები, წრფის ორ წერტილს შორის მანძილი, რიცხვითი შუალედების ჩაწერა. წერტილოვანი სიმრავლეები. სიმრავლეთა გაერთიანება და თანაკვეთა. სიმრავლეთა სხვაობა. ქვესიმრავლის დამატება, სიმრავლეთა დაყოფა არაგადამკვეთ ქვესიმრავლეებად. გამონათქვამის ცნება. მარტივი და შედგენილი გამონათქვამები. გამონათქვამთა უარყოფა. გამონათქვამთა კონიუნქცია. გამონათქვამთა დიზიუნქცია. გამონათქვამთა იმპლიკაცია. გამონათქვამთა ეკვივალენცია. პრედიკატის განსაზღვრა. კვანტორები. ორიპრედიკატის კონიუნქცია და დიზიუნქცია. ორი პრედიკატის იმპლიკაცია და ეკვივალენცია. თეორემა. თეორემის აგებულება და სახეები.

3. საქართველოს ისტორია (5 კრედიტი)

კურსის კოდი: SHB0070

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართველთა წარმომავლობის პრობლემა; ქართველური ტომების განსახლება და სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები; საქართველოს ურთიერთობა მეზობლებთან; ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში; ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობლებთან (რომი, ირანი, ბიზანტია, ხაზარები, არაბები, მონღოლები, ოსმალები, ყიზილბაშები, რუსები); ორიენტაცია, რომელსაც ირჩევდა ქართველი ხალხი დროის და სიტუაციის მიხედვით; XX საუკუნის დამდეგს მოპოვებული დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

4. ინფორმაციული ტექნოლოგიები (5 კრედიტი)

კურსის კოდი: PMB0380

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ოპერაციული სისტემა Microsoft Windows-ის ზოგადი მიმოხილვა. სამუშაო მაგიდის (Desktop), Start მენიუს, პროგრამული მპანელის ზოგადი მიმოხილვა, კატალოგებთან და ფაილებთან მუშაობა Explorer-ის საშუალებით; Microsoft Windows-ის სტანდარტული ფანჯრის view მენიუს ბრძანებები. ობიექტის ძიება. ნაგვის კალათი. ნაგვის კალათიდან ფაილებისა და კატალოგების აღდგენა; ტექსტური რედაქტორი Microsoft Word-ის ფანჯრის ინტერფეისის ზოგადი მიმოხილვა, ახალი დოკუმენტის შექმნა, შენახვა, გახსნა, დახურვა; ტექსტის რედაქტირება, კლავიატურის მიმოხილვა.

5. ზოგადი ფსიქოლოგია (5 კრედიტი)

კურსის კოდი: SFB0080

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფსიქოლოგიის საგანი, ამოცანები და მნიშვნელობა უმაღლესი ნერვული მოქმედება – ტვინი. უახლესი ინფორმაციები მისი ფუნქციონირების შესახებ. კვლევის მეთოდები, ფსიქიკის განვითარება ფილოგენეზში, ცნობიერების ფსიქოლოგია, ცნობიერების შეცვლილი მდგომარეობები, არაცნობიერის ფსიქოლოგია. პიროვნების ფსიქოლოგია, ქცევის ფსიქოლოგია, ემოციები და გრძნობები, სტრესი და სტრესის ქოფინგი, შეგრძნებები და აღქმა, მეხსიერების ფსიქოლოგია და

თანამდროვე მიდგომები, აზროვნების ფსიქოლოგია, ინტელექტი და კრეატიულობა. კომუნიკაცია და მეტყველება. კომუნიკაციის ფორმები, ზონები და სხვა უახლესი შეხედულებები. მეტყველების ფუნქციები. მშობლიური ენისა და მეორე ენის დაუფლების აქტუალური ფსიქოლოგიური საკითხები. განწყობის ფსიქოლოგია.

6. უცხო ენა-1 (5 კრედიტი)

ა) ინგლისური ენა -1.

კურსის კოდი: HEB0310

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მარტივი გრამატიკული ფორმები. ზმნა „To Be“; „To Have“; მარტრივი ახლანდელი დრო, ახლანდელი განგრძობითი დრო; მარტივი წარსული დრო; წარსული განგრძობითი დრო. სასაუბრო თემები: ჩემი ოჯახი; ჩემი ბიოგრაფია; ჩემი საყვარელი ქალაქი.

ბ) გერმანული ენა -1.

კურსის კოდი: HFB0720

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გაცნობა; ახალი ნაცნობები; მისალმებისა და დამშვიდობების ფორმები; პირის ნაცვალსახელები; ზმნის დროები; საყოფაცხოვრებო ავეჯი; არტიკლი; ჭამა-სმის კულტურა; საჭმლის ნაირსახეობა; არსებითი სახელი; თავისუფალი დრო; ჰობი; შვებულება და არდადეგები; მოდალური ზმნები.

გ) ფრანგული ენა -1

კურსის კოდი: HFB0700

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფრანგული ენის კითხვის, წერისა და წარმოთქმის უნარ-ჩვევები, Rencontres /Présentations გაცნობა/წარდგენა, მისალმებისა და დამშვიდობების ოფიციალური და ფამილარული ფორმები/არსებითი სახელების მდებარეობა. სქესის წარმოება; IIIჯგ. ზმნა „être“ უღლება; La famille, Les périodes de la vie ოჯახი, ცხოვრების ეტაპები, Le corps- Les mouvements ადამიანის აგებულება, ზედსართავი სახელების მდებარეობითი სქესის წარმოება და ადგილი წინადადებაში Le caractère ადამიანის ხასიათის დადებითი და უარყოფითი თვისებები არსებითი და ზედსართავი სახელების მრავლობითი რიცხვის წარმოება; IIIჯგ. ზმნა „avoir“ უღლება; გრამატიკული სავარჯიშოები

დ) რუსული ენა -1.

კურსის კოდი: PMB0360

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: „ნაცნობობა“; „ოჯახი“; „ავტობიოგრაფია“; „ჩემი დღე“; „დღის განრიგი“; „ლექსიკურ-გრამატიკული სავარჯიშოები“; „შესამოწმებელი და საკონტროლო კარნახები“; „ტესტები“; „სათარგმნი, საკითხავი და თხრობითი ტექსტები“.

I კურსი , II სემესტრი

1. ქართული ენა - 2 (5 კრედიტი)

კურსის კოდი: PMB0300

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მორფოლოგიის საგანი. სიტყვის შედგენილობა. მეტყველების ნაწილები. არსებითი სახელი, არსებით სახელთა ბრუნება. ზეთსართავი სახელი, მსაზღვრელ-საზღვრული, ზეთსართავ სახელთა ბრუნება, მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი., მათი წარმოება და ბრუნება. წარმოქმნა, თხზვა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა: ქართული ენა- 1

2. მათემატიკა - 2 (5 კრედიტი)

კურსის კოდი: PMB0090

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: რიცხვითი გამოსახულება. რიცხვითი ტოლობა და უტოლობა. რიცხვითი ტოლობანი და მათი ძირითადი თვისებები. რიცხვით უტოლობათა ძირითადი თვისებები. გამოსახულება ცვლადით. იგიური გარდაქმნები. განტოლება. ერთცვლადიანი განტოლებანი. განტოლებათა სისტემები. განტოლებათა ერთობლიობა. უტოლობა ცვლადით. უტოლობათა სისტემა. უტოლობათა ერთობლიობა.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსის მათემატიკა -1 ათვისება

3. პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები (5 კრედიტი)

კურსის კოდი: PPB0090

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: პედაგოგიკის საგანი, ამოცანები და წყაროები, პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება ადამიანის აღზრდის შესახებ. პედაგოგიური მეცნიერების კვლევის ტრადიციული და არატრადიციული მეთოდები. აღზრდისა და განვითარების ურთიერთობის პრობლემა პედაგოგიკაში, მოზარდის ქცევა, როგორც განვითარების ფაქტორი. განვითარების ასაკობრივი და ინდივიდუალური განვითარების თავისებურებანი, აქსელერაცია, ასაკობრივი საფეხურების დახასიათება. აღზრდის მიზანი და ამოცანები. პიროვნების ჰარმონიული განვითარების იდეა. განათლების სახელმწიფო პროგრამა საქართველოში. თანამედროვე სკოლის მასწავლებელი, მისი პროფესიული მომზადების სისტემა. საზღვაგარეთის თანამედროვე პედაგოგიური კონცეფციები

4. ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია (5 კრედიტი)

კურსის კოდი: SFB0650

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის საგანი ამოცანები და მნიშვნელობა განათლების სფეროსათვის, მეთოდები, ფსიქიკური განვითარების თეორიები და განმსაზღვრელი ფაქტორები, განვითარების მამოძრავებელი ძალების პრობლემა და მისი გადაჭრის ცდები. დ. უზნაძის ფუნქციონალური ტენდენციების თეორია, სწავლება და განვითარება. (თანამედროვე თეორიები). ფსიქიკური განვითარების პერიოდიზაცია (ფროიდის, პიაჟეს, ვიგოტსკის, უზნაძის შეხედულებების მიხედვით). წამყვანი ქცევის ცნება, ასაკობრივი გარემოს ცნება, ფსიქიკური განვითარების პერიოდების დახასიათება (პრენატალური პერიოდი, ახალდაბადებულება, ჩვილბავშვობა, ადრეული ბავშვობა, სკოლამდელი ასაკი უმცროსი სასკოლო ასაკი, გარდამავალი ასაკი, ჭაბუკობა). სწავლების და აღზრდის ფსიქოლოგია პედაგოგიური შრომის ფსიქოლოგია. განათლების რეფორმა და მასწავლებელთა მომზადების აქტუალური საკითხები. ინკუზიური სწავლების საკითხები

5. ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკა (5 კრედიტი)

კურსის კოდი: PMB0040

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: Excel-ის ზოგადი მიმოხილვა, უჯრაში ჩაწერილი ინფორმაციის დამუშავება; უჯრისათვის სახელის დარქმევის პროცედურა; უჯრაზე კომენტარების გაკეთების პროცედურა. სტრიქონების ან სვეტების ამოგდება და ჩასმა; მონაცემების კოპირება; დიაგრამების აგების წესი, მაკრობრძანება, შეჯამება; ინტერტენეტთან მუშაობის პრინციპები; ელექტრონული ფოსტა; საძიებო სისტემები.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსის ინფორმაციული ტექნოლოგიები ათვისება

6. უცხო ენა-2 (5 კრედიტი)

ა) ინგლისური ენა-2

კურსის კოდი: SEB0320

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: არსებითი სახელი; ზედსართავის სახელი; წინდებულები; ახლანდელი სრული დრო; წარსული სრული დრო; მარტივი მომავალი დრო; მომავალი უგანგრძობითი დრო; მომავალი სრული დრო. სასაუბრო თემები: ჩემი დღე, სეზონი, ამინდი, მოგზაურობა. ჩემი მომავალი პროფესია

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსის ინგლისური ენა-1 ათვისება

ბ) გერმანული ენა-2

კურსის კოდი: HFB0730

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ბინა; ჩემი სახლი; ჩემი ოცნების სახლი; გაქირავება-დაგირავება; განცხადებები; ნაცვალსახელები; რას ვაკეთებ ჩემი ჯანმრთელობისთვის?; ადამიანის სხეულის ცალკეული ორგანოები; ზერსართავის სახელის ხარისხები. ჩემი დღე; თეატრი; ზედსართავის სახელის ბრუნების სახეები; ყველა გზა ბერლინისკენ; გერმანია; წინდებულები.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსის გერმანული ენა-1 ათვისება

გ) ფრანგული ენა-2

კურსის კოდი: HFB0710

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: La communication ტელეფონზე საუბარი, საკუთარი აზრის გამოხატვა, დაპატიჟება, შეთავაზება, დათანხმება, უარი La technologie- les medias ტექნოლოგია, მას მედიის საშუალებები I, II, III ჯგუფის ზმნების უღლება “present”ში, სავარჯიშოები, la maison-le logement ბინა, აღწერილობა, წინდებულები, l' heure ; expression usuelle, expression officielle საათი, დრო, გამოთქმები ამინდზე, La cuisine, le repas ფრანგული სამზარეულო, რესტორანში, Le tourisme-Les voyages-les vacances ტურიზმი, მოგზაურობა, არდადეგები

კურსის შესწავლის წინაპირობა: ფრანგული ენა-1

დ) რუსული ენა-2

კურსის კოდი: PMB0370

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: „ბიბლიოთეკა“; „პორტრეტი“; „დახასიათება“; „ჩემი სამშობლო“; „კაფე“; ლექსიკურ-გრამატიკული სავარჯიშოები; საკონტროლო სამუშაოები; ტესტები; სასაუბროები; ასათვისებელი ტექსტები.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსის რუსული ენა-1 ათვისება

II კურსი , I სემესტრი

1. ქართული ენა - 3 (5კრედიტი)

კურსის კოდი: PMB0280

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ზმნის რაობა, კატეგორიები და სინტაქსური ფუნქცია. ზმნის პირი და რიცხვი, ინვერსია, დრო, კილო, ასპექტი, ზმნისწინი, სერიები და მწკრივები, გარდამავლობა.

კურსის შესწავლის წინაპირობა: ქართული ენა -1; ქართული ენა - 2

2. მათემატიკა - 3 (5 კრედიტი)

კურსის კოდი: PMB0070

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: დალაგებული წყვილი. ორი სიმრავლის დეკარტის ნამრავლი. ორი სიმრავლის დეკარტის ნამრავლის გამოსახვა გრაფიკულად. კორტეჟის ცნება. n სიმრავლის დეკარტის ნამრავლის ცნება. ჯამის წესი. ნამრავლის წესი. გადანაცვლება.წყობა. ჯუფთება. ცნება. აქსიომატური მეთოდი მათემატიკაში. პეანოს აქსიომები. მათემატიკური ინდუქციის პრინციპი. მთელი არაუარყოფითი რიცხვების შეკრებისა და გამრავლების აქსიომატიკური განსაზღვრა. მთელი არაუარყოფითი რიცხვების შეკრებისა და გამრავლების აქსიომატიკური განსაზღვრა, ძირითადი თვისებები. ნატურალური რიცხვის ცნება. ნულის ცნება. ტოლობა. მიმართება, მიმართება „ნაკლები“ და მისი თვისებები. მთელი არაუარყოფითი რიცხვების განსაზღვრა სიმრავლეთა გაერთიანების საფუძველზე. ჯამის არსებობა და ერთადერთობა. ორი მთელი არაუარყოფითი რიცხვის სხვაობის განსაზღვრა ქვესიმრავლის დამატების საფუძველზე. გამოკლების კავშირი შეკრებასთან. გამოკლების შესრულებადობის (არსებობის) და ცალსახობის პირობა.

გამოკლების თვისებები. ორი მთელი არაუარყოფითი რიცხვის გამრავლების განსაზღვრა სიმრავლეთა დეკარტის ნამრავლის საშუალებით. მთელი არაუარყოფითი რიცხვის გაყოფა ნატურალურ რიცხვზე. გაყოფის განსაზღვრება სიმრავლეთა კლასებად დაყოფის საშუალებით. გაყოფის კავშირი გამრავლებასთან. გაყოფის შესრულებადობის და ცალსახობის პირობა. გაყოფის თვისებები. გაყოფა ნაშთით.

3. სწავლების თეორია-1 (5 კრედიტი)

კურსის კოდი: PPB0150

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: პედაგოგიკის საგანი, წყაროები, კვლევის მეთოდები, ძირითადი ცნებები, პედაგოგიკის საყოფაცხოვრებო, პრაქტიკული, დანიშნულება, პედაგოგიკა თანამედროვე ცხოვრების საერთო კულტურულ კონტექსტში. პედაგოგიკის კავშირი სხვა მეცნიერებებთან. დიდაქტიკის საგნის თეორიული საფუძვლებისა და აქტუალური პრობლემების შესახებ. დიდაქტიკა, როგორც განათლებისა და სწავლების თეორია. დიდაქტიკის ცნებები: სწავლება, განათლება, ცოდნა, შეთვისება, უნარი, ჩვევა. სწავლების ფუნქციები: განმავითარებელი, საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი, პროფესიონალური მომზადების. თანამედროვე დიდაქტიკური კონცეფცია. ინოვაციური პროცესები განათლებაში, საავტორო სკოლები. დიდაქტიკის წარმოშობა და განვითარება. დიდაქტიკის წარმოშობის ისტორიული მიმოხილვა. სწავლების არსის, სტრუქტურის, მამოძრავებელი ძალების თანამედროვე გაგება. განმავითარებელი სწავლების ცნება. სწავლების კანონები და კანონზომიერებები. სწავლების გნოსეოლოგიური, ფსიქოფიზიოლოგიური საფუძვლები. სწავლების ზოგადპედაგოგიკური საფუძვლები. სწავლების დიდაქტიკური პრინციპები. სწავლების პრინციპების ცნება. სწავლების პრინციპების სისტემა, მისი ინტეგრირებული მახასიათებელი. (მეცნიერულობის პრინციპი, ცოდნის სისტემატურობისა და სწავლების თანმიმდევრობის პრინციპი, შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპი, თვალსაჩინოების პრინციპი, ცოდნის მტკიცედ დაუფლებისა და განმეორების პრინციპი). განათლების შინაარსი. საკითხის ისტორია. განათლების თეორიები: ფორმალური და მატერიალური.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსის პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები ათვისება

4. ფილოსოფია (5 კრედიტი)

კურსის კოდი: SFB0280

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოსოფია, როგორც კულტურის ფენომენი; ძველი აღმოსავლეთის ფილსოფია; ანტიკური ფილოსოფია და მისი პერიოდები; სოკრატეს ფილოსოფია; პლატონის ფილოსოფია; არისტოტელეს ფილოსოფია; რომაული ფილოსოფია; ფილოსოფიური ცენტრები ფეოდალურ საქართველოში; პეტრე იბერი და არეოპაგის პრობლემები; პეტრიწის ფილოსოფია; შუა საუკუნეების ფილოსოფია და „ორმაგი ჭეშმარიტების თეორია“; ახალი დროის ფილოსოფია – ბეკონის ფილოსოფია; გერმანული კლასიკური ფილოსოფია: კანტი, ფიხტე, შელინგი და ჰეგელი; პოზოტივიზმი, პრაგმატიზმი, ფუნქციონალიზმი; სიცოცხლის ფილოსოფია (ნიცშე, ბერგსონი, დილთაი) ექსისტენციალიზმი; „ფრანკფურტის სკოლა“, ადამიანის ფროიდისეული კონცეფცია.

5. სამედიცინო ცოდნის საფუძვლები (5 კრედიტი)

კურსის კოდი: PMB0230

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ავადმყოფის მოვლის საფუძვლები, მოვლის მნიშვნელობა; ავადმყოფის ჰიგიენა; სხეულის ტემპერატურა, პულსი, არტერიული წნევა-გამოკვლევა და გაზომვის მეთოდიკა. სამკურნალო ნივთიერებების ორგანიზმში შეყვანის გზები; შინაგან სნეულებათა საფუძვლები ავადმყოფის მოვლით; დაზიანებულთა მოვლა; ბავშვთა ჯანდაცვა; ბავშვთა სუნთქვის სისტემის და ნაწლავური ინფექციები; იმუნიტეტი და აცრები; ძუძუთა კვების პრინციპები; ფსიქონერვოლოგიური დარღვევები ბავშვებში.

6. სოციალური ფსიქოლოგია (5 კრედიტი)

კურსის კოდი: SFB0670

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სოციალური ფსიქოლოგიის საგანი და ამოცანები, აქტუალობა; ადამიანის ფსიქიკური აქტივობის დონეები, პიროვნების ფსიქოლოგიური

სტრუქტურის სოციალური ხასიათი სოციალური ფსიქოლოგიის შესწავლის მნიშვნელობა პრაქტიკული საზოგადოებრივი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში მომუშავე ადამიანებისათვის. პიროვნებათმორის ურთიერთმოქმედების ძირითადი ფორმები - სოციალური განმტკიცება, კონფორმულობა, როგორც სოციალური მიბაძვა. სოციალური გავლენის ფორმების გავლენა სწავლების, აღზრდის და ზოგადად ქცევის ეფექტურობაზე, თანამშრომლობა, შეჯიბრება, კონფლიქტი და მისი გადაჭრის ვარიანტები. ჯგუფის სოციალური ფსიქოლოგია, სოციალური განწყობა და მისი ფაქტორები. ფიქსირებული განწყობა. განწყობის ანთროპული თეორია, თანამედროვე სოციალური ფსიქოლოგიის ცნებები (კონტროლის ლოკუსი, მცდარი კონსენსუსი, მცდარი უნიკალობა, ფასილიტაცია, ექსტრავერტობა და ინტრავერტობა და სხვა). სოციალური ფსიქოლოგიის ცნებები და პედაგოგიური პროცესი. ინფორმაციის გადაცემისა და მიღების, ურთიერთობის ფსიქოლოგია. აგრესიულობა და მასზე მოქმედი ფაქტორები. მოტივაცია და ფრუსტრაცია. ჩვენი საქციელის პროგნოზი და ახსნა. დ. კარნეგი სოციალური ფსიქოლოგიის სათავეებთან.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსის ზოგადი ფსიქოლოგია ათვისება

II კურსი , II სემესტრი

1. ქართული ენა - 4 (5კრედიტი)

კურსის კოდი: PMB0290

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გვარი, ქცევა, კონტაქტი, ზმნის მარტივი ფუძე, ძირი , თემა. თავისებური ზმნები. სახელზმნა. ზმნიზედა; თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული.

კურსის შესწავლის წინაპირობა: ქართული ენა -1; ქართული ენა -2; ქართული ენა -3.

2. მათემატიკა - 4 (5 კრედიტი)

კურსის კოდი: PMB0060

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: თვლის არაპოზიციური სისტემები. თვლის პოზიციური სისტემები. თვლის ერთი სისტემიდან მეორეზე გადასვლა. თვლის პოზიციურ სისტემაში მოცემული არაუარყოფით მთელ რიცხვებზე მოქმედებათა მაგალითები. გაყოფადობის მიმართება და მისი ძირითადი თვისებები. ჯამის, სხვაობის და ნამრავლის გაყოფადობა. გაყოფადობის ნიშნები. მარტივი და შედგენილი რიცხვები. თეორემა მარტივი გამყოფის არსებობის შესახებ. მარტივ რიცხვთა სიმრავლის უსასრულობა. ერატოსთენეს ცხრილი. ჯერადები. საერთო ჯერადები. უმცირესი საერთო ჯერადი. ნებისმიერ საერთო ჯერადის უმცირეს საერთო ჯერადზე გაყოფადობა. გამყოფები. საერთო გამყოფები. უდიდესი საერთო გამყოფი. ურთიერთმარტივი რიცხვები და მათი უმცირესი საერთო ჯერადი. შედგენილ რიცხვებზე გაყოფადობის თვისებები. ურთიერთმარტივი რიცხვების ძირითადი თვისება. ნატურალური და მარტივი რიცხვის ურთიერთმარტივობის პირობა. ნამრავლის გაყოფადობა მარტივ რიცხვზე. არითმეტიკის ძირითადი თეორემა. უდიდესი საერთო გამყოფისა და უმცირესი საერთო ჯერადის პოვნა.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსის მათემატიკა -3 ათვისება

3. სწავლების თეორია-2 (5კრედიტი)

კურსის კოდი: PPB0160

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სასწავლო მასალის შერჩევის პრინციპები და კრიტერიუმები. სასწავლო გეგმა, პროგრამა, სახელმძღვანელოები.თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები. საგანმანათლებლო ტექნოლოგიის ცნება. სწავლების საძიებო-კვლევითი, სწავლების კრიტიკულ-ორიენტირებული, სწავლების იმიტაციური (მამოდულირებელი) და ინფორმაციული ტექნოლოგიები. არჩევანის მრავალფეროვნებიდან საავტორო ტექნოლოგიამდე. სკოლა ოჯახი საზოგადოება. ბავშვის აღზრდა ოჯახში. ეროვნული სასწავლო გეგმა. (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის). კანონი ზოგადი განათლების შესახებ. მასწავლებლის მომზადების კონცეფცია. სწავლების დიდაქტიკური მეთოდები და

მეთოდური სისტემები. სწავლების მეთოდების ცნება და ხერხი. სწავლების მეთოდების არჩევა მათი კლასიფიკაციის საფუძველზე. სწავლების დომინანტური ტიპის არჩევა, მეთოდური სისტემის ცნება. გადაცემითი (ინფორმაციულ - ილუსტრაციული, რეპროდუქციული) სწავლება. სწავლების ინოვაციური მეთოდები. სწავლების ორგანიზაციის ფორმები. (ისტორიული მიმოხილვა). სწავლების ორგანიზაციის დამხმარე ფორმები. სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმა გაკვეთილი. კომბინირებული გაკვეთილი, მისი სტრუქტურაციონის შემოწმება-შეფასების ფორმები (ისტორიული მიმოხილვა), ცოდნის შემოწმება-შეფასების მეთოდები, პრინციპები და კრიტერიუმები. ცოდნის შემოწმება-შეფასების თანამედროვე ფორმები, სახეები, კრიტერიუმები, მასწავლებლის მზადება გაკვეთილისათვის.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსების: პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები; ზოგადი ფსიქოლოგია ათვისება

4. შრომითი აღზრდის სწავლების მეთოდთა (5 კრედიტი)

კურსის კოდი: PMB0350

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: შრომითი სწავლების მეთოდებისა და ხერხების შესწავლა; ბუნებრივი, ხელოვნური და სინთეზური ქსოვილების გამოყენება შრომითი სწავლების გაკვეთილებზე; სააპლიკაციო მუშაობის ფორმები; ქაღალდისა და მუყაოს გამოყენება შრომით სწავლებაში; გეომეტრიულ ფიგურებზე მუშაობა; თოჯინების დამზადება; სამერწი მასალების გამოყენება შრომით სწავლებაში.

5. მუსიკალური აღზრდის სწავლების მეთოდთა (5 კრედიტი)

კურსის კოდი: PMB0150

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მუსიკალური აღზრდის მიზანი და ამოცანები; მუსიკის ადგილი მოსწავლეთა მუსიკალური აღზრდის პროცესში; მუსიკის აღქმისა და შეფასების თავისებურებანი დაწყებით კლასებში; მუსიკის მოსმენის მეთოდები; ვოკალურ-საგუნდო აღზრდის შინაარსი, მიზანი და ამოცანები; სიმღერის სწავლება; მოსწავლეთათვის სამუსიკო ანბანის სწავლება; ინტეგრირებული სწავლების მეთოდთა მუსიკის გაკვეთილებზე.

6. ბუნებისმცოდნეობა სწავლების მეთოდთა (აღამიანი და გარე სამყარო; ფიზიკისა და ასტრონომიის ელემენტები) (5 კრედიტი)

კურსის კოდი: NGB0450

ა) აღამიანი და გარე სამყარო

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გეოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემა და მასში ზოგადი დედამიწისმცოდნეობის ადგილი; დედამიწა, როგორც პლანეტა, ფორმა, სიდიდე და მოძრაობის სახეები; გეოგრაფიული გარსი და მისი შემადგენელი სფეროები; გეგმა და რუკა, მასშტაბი და მისი მნიშვნელობა; დედამიწის ქერქი, მისი შემადგენლობა; ქერქის ზედაპირზე მოდელირებული რელიეფის ფორმები; შინაგანი და გარეგანი ძალების როლი რელიეფწარმოქმნაში; ატმოსფერო, მისი შემადგენლობა და მნიშვნელობა; ამინდი და ჰავა, ჰავის სარტყლები; ჰიდროსფერო, ჰიდროსფეროს სახეები და მნიშვნელობა; ბიოსფერო, მისი შემადგენლობა და მნიშვნელობა; დედამიწის ზოგადი გეოგრაფიული კანონზომიერებანი (მთლიანობა, ნივთიერებათა და ენერჯის ბრუნვა, რითმული მოვლენები, ზონალური და აზონალური მოვლენები); გეოგრაფიული სარტყლები და ბუნებრივი ზონები; გეოგრაფიული გარემო, რაციონალური ბუნებათსარგებლობა, ეკოლოგიური პრობლემები და მისი გადაჭრის გზები.

ბ) ფიზიკისა და ასტრონომიის ელემენტები.

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მატერიალური სამყარო, მატერია, მატერია, დრო და სივრცე; მოძრაობის მრავალფეროვნება; ნიუტონის კანონები, ძალები ბუნებაში; მსოფლიო მიზიდულობა, სიმძიმის ძალა, ბასა, წონა; ენერჯის მრავალფეროვნება. ჩვენი ენერჯია; ელექტრული მუხტი, კულონის კანონი; მუდმივი ელექტრული დენი; მაგნიტური ველი, ნივთიერების მაგნიტური თვისებები. დედამიწის მაგნიტური ველი; ელექტრომაგნიტური ინდუქციის მოვლენა. ცვლადი დენი; ელექტრომაგნიტური ტალღა; სინათლის ტალღური და

ქვანტური ბუნება; სინათლის ფერი. ზღაპრული ოპტიკა; რხევითი მოძრაობა, ტალღა, ბგერა; ნივთიერების აღნაგობა. ატომები და მოლეკულები; ცა, ცის სფერო, თანავარსკვლავედები; გეოგრაფიული და ასტრონომიული კოორდინატები; დედამიწის ფორმა და ზომა, მასა; დედამიწის აგებულება; დედამიწის ატმოსფერო, მაგნიტოსფერო; მზის სისტემის აღნაგობა; სამყაროს აღნაგობის ზოგადი სურათი.

III კურსი , I სემესტრი

1. ქართული ენა - 5 (5 კრედიტი).

კურსის კოდი: PMB0270

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სინტაქსის საგანი, წინადადება, როგორც სინტაქსური ერთეული. სინტაქსური კავშირის სახეები. წინადადების ტიპები, წინადადების წევრის რაობა, წინადადების მთავარი წევრები

კურსის შესწავლის წინაპირობა: ქართული ენა - 2; ქართული ენა - 3; ქართული ენა - 4.

2. მათემატიკა - 5 (5 კრედიტი)

კურსის კოდი: PMB0080

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სიდიდის ცნება. ჩვეულებრივი წილადის განსაზღვრა. წილადების ეკვივალენტურობა და წილადის ძირითადი თვისება. არაუარყოფითი რაციონალური რიცხვები. წილადის შეკვეცა. წილადების გაერთმნიშვნელობა. წილადების შედარება. წილადების სახეები ერთეულთან შედარებით. წილადების შეკრება. წილადების შეკრების თვისებები. წილადების გამოკლება. წილადების გამოკლების თვისებები. წილადის გამრავლება არაუარყოფით მთელ რიცხვზე. წილადის გაყოფა ნატურალურ რიცხვზე. წილადის გამრავლება წილადზე. წილადის გამრავლების თვისებები. წილადის გაყოფა წილადზე. წილადის გაყოფის თვისებები. ათწილადის ცნება. ათწილადის თვისებები. ათწილადების შედარება. რაციონალური რიცხვის ათწილადებში გამოსახვის აუცილებელი და საკმარისი პირობა. მოქმედებანი ათწილადებზე. პერიოდული ათწილადები და მათი გარდაქმნა ჩვეულებრივი წილადად. ერთეულოვან მონაკვეთთან თანაზომადი მონაკვეთის სიგრძის გაზომვა. ერთეულოვან მონაკვეთთან არათანაზომადი მონაკვეთის სიგრძის ათობითი გაზომვა. დადებითი ირაციონალური რიცხვი, როგორც უსასრულო არაპერიოდული ათწილადი. ნამდვილ რიცხვთა სიმრავლე. ურთიერთცალსახა შესაბამისობა ნამდვილ რიცხვთა სიმრავლესა და რიცხვითი ღერძის წერტილებს შორის.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსის მათემატიკა - 4 ათვისება

3. აღზრდის თეორია (5 კრედიტი).

კურსის კოდი: PPB0020

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: აღზრდის არსი და თავისებურებები მიზნები და ამოცანები, აღზრდის შემადგენელი ნაწილები (ზოგადი მიმოხილვა), ჰარმონიული აღზრდის აუცილებლობა, აღზრდის მეთოდები, აღზრდის პრინციპები, გონებრივი აღზრდა, პიროვნების მსოფლმხედველობის ფორმირება, ზნეობრივი აღზრდა, ესთეტიკური აღზრდა, ფიზიკური აღზრდა, შრომითი აღზრდა, რელიგიური აღზრდა, ჰარმონიული აღზრდის აუცილებლობა, დისციპლინის და ქცევის კულტურის აღზრდა, ოჯახი და აღზრდა. ოჯახის როლი მოზარდთა განვითარებაში.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსების: პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები; სწავლების თეორია; ზოგადი ფსიქოლოგია; ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია ათვისება

4. ქართული ენის სწავლების მეთოდიკა - 1 (5 კრედიტი)

კურსის კოდი: PMB0320

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართული ენის სწავლების მეთოდიკის საგანი; ქართული მეთოდიკური აზროვნების განვითარების ისტორიული ასპექტები; ქართული ენის სწავლების მეთოდიკის საფუძვლები; ანბანის სწავლების მეთოდები; დედა ენის მოქმედი და ალტერნატიული სახელმძღვანელოები; პირველ კლასში წერა-კითხვის სწავლების ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და დიდაქტიკური საფუძვლები; სადღეისო მოთხოვნების შესაბამის და წერა-კითხვის სწავლების სტრატეგიები და აქტივობები

ცალკეული ეტაპების მიხედვით; წერა-კითხვის სწავლების ყველა პერიოდის გაკვეთილის გეგმა-კონსპექტების ნიმუშები.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსების: პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები; ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია ათვისება

5. მათემატიკის სწავლების მეთოდთა - 1 (5 კრედიტი)

კურსის კოდი: PMB0140

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ელემენტარული სკოლის მათემატიკის პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება. ელემენტარული სკოლის მათემატიკის პედაგოგიკის საგანი და ამოცანები. ელემენტარული სკოლის მათემატიკის პედაგოგიკის კავშირი სხვა მეცნიერებებთან. ელემენტარული სკოლის მათემატიკის პედაგოგიკის შინაარსი და ამოცანები. ელემენტარული სკოლის მათემატიკის პედაგოგიკის ამოცანები და მოცულობა. ელემენტარული სკოლის მათემატიკის პროგრამებისა და სახელმძღვანელოების მოკლე ანალიზი. ელემენტარული სკოლის მათემატიკის სწავლების ზოგადი მეთოდები. ზეპირი გადაცემა. ვარჯიში. ინდუქცია და დედუქცია. მსგავსი და საპირისპირო ცნებების ერთდროული ფორმირება. წიგნზე მუშაობა. ლაბორატორიული მუშაობა. მათემატიკის სწავლების ორგანიზაცია ელემენტარულ სკოლაში. მათემატიკის გაკვეთილი. გაკვეთილების სისტემა და სწავლების სხვა ფორმები ელემენტარულ სკოლაში. მათემატიკის გაკვეთილის სახეები. გაკვეთილის ჩატარების ორგანიზაცია და მეთოდთა. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება-შეფასება. თვალსაჩინოება ელემენტარულ სკოლაში. მცირეკომპლექტიან სკოლაში მათემატიკის სწავლების ორგანიზაციის თავისებურებანი.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსების: პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები; ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია ათვისება

6. ბუნებისმცოდნეობა სწავლების მეთოდით (ცოცხალი სამყარო; ქიმიის ელემენტები) (5 კრედიტი)

კურსის კოდი: NBB1100

ა) ცოცხალი სამყარო

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სიცოცხლისათვის დამახასიათებელი თვისებები; სიცოცხლის დონეები; სიცოცხლის წარმოშობა დედამიწაზე; ბუნებრივი გადარჩევა ანთროპოგენეზი; უჯრედი, უჯრედოვანი აგებულების თეორია; უჯრედის ძირითადი სტრუქტურული კომპონენტები; უჯრედის ორგანული და არაორგანული ნივთიერებები. ვირუსები, პროკარიოტები, ეუკარიოტები. ავტოტროფული და ჰეტეროტროპული ორგანიზმები. ორგანიზმთა გამრავლების ფორმები უსქესო და სქესობრივი გამრავლება; მიტოზი, მეიოზი; განაყოფიერება, სქესის განსაზღვრის მეთოდი, ონტოგენეზი. ნიშან-თვისებათა დამემკვიდრება ფენოტიპი; გენოტიპი; ორგანიზმთა კლასიფიკაცია; მცენარეთა სამყარო; მცენარის ძირითადი ორგანოები; ყბავილი, ნაყოფები თესლები; მცენარეთა ძირითადი განაყოფილებები: ბაქტერიები, წყალმცენარეები, სოკოები, მღიერები, ხავსები, გვიმრები, შიშველთესლები, ფარულთესლები; ხერხემლიანი და უხერხემლო ცხოველები, მათი ტიპები და კლასები.

ბ) ქიმიის ელემენტები

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქიმიის ძირითადი ცნებები და კანონები; დ. მენდელეევის პერიოდულობის კანონი და პერიოდული სისტემა; ატომის აგებულება; ქიმიური ბმის ტიპები; ქიმიური რეაქციები; ხსნარების თვისებები; არაორგანულ ნაერთთა ძირითადი კლასები; ორგანულ ნაერთთა ძირითადი კლასები; ჰაერი; ჟანგბადი; წყალბადი; ქიმიის პრაქტიკული როლი.

III კურსი , II სემესტრი

1. ქართული ენა - 6 (4 კრედიტი).

კურსის კოდი: PMB0310

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები: უბრალო დამატება, გარემოება, განსაზღვრება. მარტივი წინადადების ტიპები.

კურსის შესწავლის წინაპირობა: ქართული ენა - 5.

2. მათემატიკა - 6 (4 კრედიტი)

კურსის კოდი: PMB0050

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: უმარტივესი გეომეტრიული ფიგურები (წერტილი, წრფე, მონაკვეთი, ტეხილი, კუთხე, სამკუთხედი, კვადრატის, მართკუთხედი, ტრაპეცია, წრეწირი, წრე). მსგავსების გარდაქმნა, ჰომოთეტია და მისი თვისებები. მსგავსების გარდაქმნათა ჯგუფი. გეომეტრიულ გარდაქმნათა მსგავსება. ფიგურის ფართობი და მისი გაზომვა. ფიგურათა ფართობები. ფიგურათა ტოლშედეგნილობა და ტოლდიდობა. გეომეტრიული აგებები ფარგლითა და სახაზავით. გეომეტრიული აგების ამოცანა. აგება ფარგლითა და სახაზავით. აგება მხოლოდ ფარგლით. აგება მხოლოდ სახაზავით. კლასიკური აგებები აგებაზე. ოქროს კვეთა. საშუალო მნიშვნელობები. სივრცითი ფიგურები. მრავალწახნაგა ფიგურები. მრგვალი ფიგურები. ფიგურათა თვისებები. მოცულობა და მისი გაზომვა. სივრცითი ფიგურების გამოსახვა სიბრტყეზე. მოთხოვნები ნახაზის მიმართ. პარალელური დაგეგმილება და მისი თვისებები. სივრცითი ფიგურების შლილი. ფიგურათა მოდელების დამზადება ელემენტარულ სკოლაში.

3. დეფექტოლოგია ლოგოპედია და ინკლუზიური სწავლება (4 კრედიტი)

კურსის კოდი: PPB0170

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: დეფექტოლოგიის საგანი. მეტყველების დეფექტები. სმენის დეფექტი. გონებრივი ჩამორჩენილობა. მხედველობის დეფექტები. გადახრები ემოციურ ნებისყოფით სფეროში. ფსიქიკური განვითარების შეფერხებ. აფსიქიკური დაავადებები.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსების: პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები; სწავლების თეორია; აღზრდის თეორია; ზოგადი ფსიქოლოგია; ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია ათვისება.

4. ქართული ენის სწავლების მეთოდიკა -2 (5 კრედიტი)

კურსის კოდი: PMB0340

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კითხვის სწავლების აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ფუნქციები; სრულყოფილი კითხვის მხარეები; საკითხავი მასალის შერჩევისა და დალაგების პრინციპები; სხვადასხვა ჟანრის მხატვრულ ნაწარმოებთა სწავლება; რელიგიური და ისტორიული ხასიათის ნაწარმოებთა სწავლება; ტექსტზე მუშაობის ეტაპები; საგანთმორისო სწავლების პრობლემების დაძლევის ტრადიციული და თანამედროვე მეთოდიკური ტექნოლოგიები; კლასგარეშე კითხვა; კალიგრაფიის სწავლების პრინციპები; ქართული წერის დედანი, მისი აგების პრინციპები და გამოყენება; სუფთა წერის სწავლება კლასების მიხედვით.

5. მათემატიკის სწავლების მეთოდიკა - 2 (5 კრედიტი)

კურსის კოდი: PMB0120

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: არითმეტიკული მასალის პედაგოგიკა. პირველი ათეული. პირველი ათეულის შესწავლის მოსამზადებელი პერიოდი. ნატურალური რიცხვის ცნება. პირველი ათეულის რიცხვების ზეპირი ნუმერაცია. რიცხვების შედარება (ტოლობა, ნაკლებობა, მეტობა). რიცხვების წერითი ნუმერაცია. შეკრება-გამოკლების სწავლება ათეულის ფარგალში. შეკრება-გამოკლების კომპონენტებისა და შედეგის სახელწოდების გაცნობა. შეკრების გადანაცვლებადობის თვისება. პირველი ოცეული. ოცეულის რიცხვების

ზეპირი და წერითი ნუმერაცია. ოცის ფარგალში შეკრება-გამოკლების სწავლება. ფრჩხილები, „ჯამისა“ და „სხვაობის“ ორგვარი აზრი. ასეული. ორნიშნა რიცხვების ნუმერაცია ქართულ სკოლაში. ორნიშნა რიცხვების შეკრება-გამოკლების სწავლება. გმრავლებისა და გაყოფის თეორიული საფუძვლები. ტაბულური გამრავლებისა და გაყოფის სწავლება. არატაბულური გამრავლებისა და გაყოფის სწავლება. გაყოფა ნაშთით. ათასეული. ათასეულის რიცხვების ზეპირი და წერითი ნუმერაცია. შეკრება-გამოკლების სწავლება მრავალნიშნა რიცხვები. მრავალნიშნა რიცხვების ნუმერაცია. მრავალნიშნა რიცხვების შეკრება და გამოკლება. მრავალნიშნა რიცხვების გამრავლება და გაყოფა. მოქმედებათა კომპონენტების ცვლასთან დაკავშირებით შედეგების ცვლის შესწავლა ელემენტარულ სკოლაში. ნაწილისა და წილადის გაცნობა. ნაწილის გაცნობის მეთოდიკა. წილადების სწავლების მეთოდიკა. ძირითადი სიდიდეების სწავლების მეთოდიკა. სიგრძის გაზომვის შესწავლა. მსის საზომი ერთეულების შესწავლა. დროის საზომი ერთეულების შესწავლა.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსების: მათემატიკა - 3; მათემატიკა - 4 ათვისება

6. არჩევითი კურსი (5 კრედიტი)

ა) განათლების მენეჯმენტი

კურსის კოდი: SEB0971

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: განათლების მენეჯმენტის არსი და მნიშვნელობა, მენეჯმენტი როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური მართვა. საჯარო სკოლა – ორგანიზაცია და მენეჯმენტის საფუძველი. ადამიანური ურთიერთობანი მმართველობით საქმიანობაში. მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები საჯარო სკოლაში. ხელმძღვანელობის საფუძვლები და კონფლიქტური სიტუაციების მართვა, საჯარო სკოლის ფინანსური მართვა, საბუღალტრო აღრიცხვა და სახელმწიფო შესყიდვები საჯარო სკოლაში. კომუნიკაცია და კონტროლი განათლების მენეჯმენტში. საჯარო სკოლის ქონების განკარგვა.

კურსის შესწავლის წინა პირობა: კურსების: ზოგადი ფსიქოლოგია; სოციალური ფსიქოლოგია ათვისება

ბ) ესთეტიკა

კურსის კოდი: SFB0681

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ესთეტიკის საგანი; ესთეტიკური სიტუაცია, ესთეტიკური, როგორც იდიალურისა და რეალურისთანაფარდობა; ესთეტიკური ცნობიერების განვითარების წინაისტორია; ესთეტიკური ღირებულებების არსი. ღირებულებების განსაზღვრა; კულტურის პრობლემა. ესთეტიკა, როგორც კულტურის ფენომენი; ესთეტიკის კატეგორიები: მშვენიერი და უგვანო, ამაღლებული და მდაბალი; ტრაგიკული და კომიკური; ესთეტიკური ძიება ანტიკურ ფილოსოფიაში; ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიის საკითხები - მითოლოგია; ქართული ნეოპლატონისტური ესთეტიკის საკითხები; ხელოვნების წარმოშობა და არსი; რენესანსის ხანის მხატვრული აზროვნების საკითხები.

გ) ქართული ეთნოლოგია

კურსის კოდი: HAB0281

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართველთა ეთნიკური ისტორია; ქართველთა განსახლების არეალი. ქართველთა აღმნიშვნელი სახელწოდებები; ქართველთა დემოგრაფიული მდგომარეობა და ანთროპოლოგიური დახასიათება; ქართული დამწერლობა, ენა და დიალექტები; აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთისა და ბარის თემები; ქართველთა მატერიალური კულტურა: დასახლების ფორმები. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები; ქართველთა ტანთჩაცმულობა; სოციალურ ურთიერთობათა ფორმები: ქართველური საკუთარი სახელები და ანთროპონიმული მოდელი. შიდამიგრაციული პროცესები. საოჯახო ყოფა. ნათესაობის სისტემა. ტერიტორიული თემი. ქართველთა სულიერი კულტურა: საქორწინო წეს-ჩვეულებები. დაკრძალვის წეს-ჩვეულებები; ხალხური აღზრდის წესები (ბავშვის დაზადებამდელი და დაზადების შემდგომდროინდელი წესები); ხალხური სპორტული თამაშობანი. ხალხური სიმღერები და ცეკვები. ქართული ფოლკლორი; სტუმართმოყვარეობის ხალხური ტრადიციები. სუფრა და

სუფრის ეტიკეტი; ეთნოსთაშორისი ურთიერთობები. ეთნიკური კონფლიქტები თანამედროვე საქართველოში.

კურსის შესწავლის წინა პირობა: კურსის საქართველოს ისტორია ათვისება

7. პედაგოგიური პრაქტიკა-1 (3 კრედიტი)

კურსის კოდი: PPB0100

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: პრაქტიკის მოსამზადებლად სატუდენტებს უტარდებათ სემინარები, საგნების სწავლების მეთოდებში, პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში. პედაგოგიკის ამოცანაა ტუდენტებს გააცნოს პრაქტიკული საქმიანობის პროცესი, სკოლის შებაგანაწესი, მუშაობის ორგანიზაციისა და აღრიცხვის ფორმები და დოკუმენტაცია.. პრაქტიკის პერიოდში კონკრეტულად წყდება ისეთი საკითხები, როგორცაა: მიღებული თეორიული ცოდნის გარმავება, ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ჩვევების გამომუშავება, პროფესიისადმი სიყვარულის განმტკიცება,

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსების: ზოგადი ფსიქოლოგია; ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია; შრომითი აღზრდა სწავლების მეთოდით; მუსიკალური აღზრდა სწავლების მეთოდით; ბუნების მცოდნეობა სწავლების მეთოდით; ქართული ენის სწავლების მეთოდით; მათემატიკის სწავლების მეთოდით; პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლების; სწავლების თეორია; აღზრდის თეორია ათვისება

IV კურსი , I სემესტრი

1. ქართული ენა - 7 (3კრედიტი)

კურსის კოდი: PPB0390

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: შერწყმული წინადადება. შერწყმული წინადადების რაობა და ტიპები. ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებები. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები: განკერძოებული განსაზღვრება, დანართი, განკერძოებული გარემოება. წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა-გამოთქმები: მიმართვა, ჩართული, შორისდებული, მიგებითი ნაწილაკები. რთული წინადადება.

კურსის შესწავლის წინაპირობა: ქართული ენა - 5. ქართული ენა - 6.

2. სკოლის მართვა და ორგანიზაცია (4 კრედიტი)

კურსის კოდი: PPB0130

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სკოლათმცოდნეობის საგანი და ამოცანები; შინაარსი და შემადგენელი ნაწილები.. კადრების როლი განათლების სისტემაში მათი სწორად შერჩევა-გადანაწილება სკოლათმცოდნეობის ძირითადი წყაროები. საქართველოს კანონი განათლების შესახებ. დაწყებითი სკოლა, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დაწყებითი, საბაზო და საშუალო სკოლის ადმინისტრაცია (ადმინისტრაციის განსაზღვრა, სტრუქტურა, შექმნის წესი, მოვალეობანი). კადრების როლი განათლების სისტემაში მათი სწორად შერჩევა-გადანაწილება დაწყებითი სკოლა, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დაწყებითი, საბაზო და საშუალო სკოლის ადმინისტრაცია (ადმინისტრაციის განსაზღვრა, სტრუქტურა, შექმნის წესი, მოვალეობანი). კადრების როლი განათლების სისტემაში მათი სწორად შერჩევა-გადანაწილება დაწყებითი სკოლა, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თანამშრომლების დანიშვნის წესი, უფლება-მოვალეობანი და სხვა. ეროვნული სკოლა, მასწავლებელი. კლასის ხელმძღვანელის როლი და ადგილი სკოლის აღმზრდელობით მუშაობაში. მეთოდური მუშაობა სკოლაში. საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლის მართვისა და ხელმძღვანელობის პრინციპები. მართვის ხელოვნება. პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოები. სკოლის მართვისა და ხელმძღვანელობის პრინციპები. მართვის ხელოვნება. სკოლის მართვისა და ხელმძღვანელობის პრინციპები. პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოები. სკოლის მართვისა და ხელმძღვანელობის პრინციპები. მშობელთა კომიტეტი. მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის რეჟიმი და შინაგანაწესი. სასკოლო დოკუმენტაცია. სკოლის ბიუჯეტის სტრუქტურა, წყაროები.სკოლის შინაგანაწესი. მისი მიღების წესი ხარჯთაღრიცხვის შედგენისა და დამტკიცების წესი.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსების: პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები; სწავლების თეორია; აღზრდის თეორია; ზოგადი ფსიქოლოგია, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია ათვისება

3. ქართული ლიტერატურის ისტორია (5 კრედიტი)

კურსის კოდი: HGB0240

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: XX საუკუნის დასაწყისის მწერლობა, რეალისტური და მოდერნისტური სკოლები; ქართული სიმბოლიზმის თავისებურებანი „ცისფერყანწელთა“ როლი ლექსის განვითარებაში (გ. ტაბიძის, პ. იაშვილის და ვ. გაფრინდაშვილის პოეზიის ზოგადი მიმოხილვა); ვასილ ბარნოვის ცხოვრება და შემოქმედება; დავით კლდიაშვილის ცხოვრება და შემოქმედება; გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრება და შემოქმედება; ნიკოლორთქიფანიძის ცხოვრება და შემოქმედება; მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება; კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრება და შემოქმედება; ლეო ქიაჩელის ცხოვრება და შემოქმედება; გიორგი ლეონიძის ცხოვრება და შემოქმედება; ლადო ასათიანის ცხოვრება და შემოქმედება; ნოდარ დუმბაძის ცხოვრება და შემოქმედება; ანა კალანდაძის ცხოვრება და შემოქმედება; მურმან ლებანიძის ცხოვრება და შემოქმედება; მუხრან მაჭავარიანის ცხოვრება და შემოქმედება; ირაკლი აბაშიძის ცხოვრება და შემოქმედება; XX საუკუნის 90-იანი წლების და XXI საუკუნის დასაწყისის ქართული მწერლობის მიმოხილვა; ელემენტარული სკოლის სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული თანამედროვე მწერლების შემოქმედების მიმოხილვა.

4. ქართული ენის სწავლების მეთოდიკა -3 (3 კრედიტი)

კურსის კოდი: PMB0330

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გრამატიკის ელემენტარული კურსის სწავლების ძირითადი პრინციპები; გრამატიკის სწავლების გზები, მეთოდები, ხერხები, თვალსაჩინოების სახეები; ტექსტის ენობრივი ანალიზი; ორთოგრაფიის სწავლების მეთოდიკა; პუნქტუაციის სწავლების მეთოდიკა; მოსწავლეთა გაბმულ მეტყველებასა და მეტყველების ელემენტარულ სტილზე მუშაობა დედაენის გაკვეთილებზე.

5. მათემატიკის სწავლების მეთოდიკა -3 (4 კრედიტი)

კურსის კოდი: PMB0110

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: რიცხვითი გამოსახულების სწავლება ელემენტარულ სკოლაში. ცვლადის შემცველი გამოსახულების შესწავლის მეთოდიკა. ტოლობა და უტოლობა ელემენტარული სკოლის მათემატიკის კურსში. განტოლების სწავლება ელემენტარულ სკოლაში. გომეტრიის ელემენტების სწავლების მიზანი ელემენტარულ სკოლაში. უმარტივესი გომეტრიული ფიგურების (წრფის, წრფის მონაკვეთის, ტეხილის, მართკუთხედის, კვადრატის, წრეწირისა და წრის გაცნობა). ფიგურათა ფართობების სწავლების მეთოდიკა ელემენტარულ სკოლაში. ამოცანების ამოხსნის მნიშვნელობა ელემენტარულ სკოლაში. მარტივი ამოცანების სახეები და მათი ამოხსნის სწავლების მეთოდიკა. შედგენილი ამოცანების ამოხსნის სწავლება. კომბინაციური შინაარსის ამოცანები და მათი ამოხსნა ელემენტარულ სკოლაში. მონაცემთა დამუშავების, სტატისტიკისა და ალბათობათა თეორიის ელემენტების სწავლების მეთოდიკა ელემენტარულ სკოლაში.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსების: მათემატიკა - 1; მათემატიკა - 2; მათემატიკა - 3; მათემატიკა - 4; მათემატიკა - 5; მათემატიკა - 6 ათვისება

6. კულტურის ისტორია (3 კრედიტი)

კურსის კოდი:HAB0290

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კულტურის რაობა; ქართული კულტურის ისტორიის პერიოდიზაცია; საქართველო პირველი ევროპელის სამშობლო; პირველყოფილი საზოგადოების კულტურა; ბრინჯაოს ხანის კულტურები საქართველოში; ანტიკური ხანის ქართული კულტურა; ადრექრისტიანული ხანის კულტურა საქართველოში; ქართული კულტურის კერები საზღვარგარეთ-საქართველოს სულიერი მისიის განხორციელება;

საქართველოს რეგიონური ძალაუფლების მქონე სახელმწიფო; კონსოლიდაცია ეროვნული და ქრისტიანული იდეალების გარშემო; ქართული რენესანსი; შუასაუკუნეების კულტურული კრიზისი საქართველოში; კულტურული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა; კულტურული აღმავლობა „ვერცხლის ხანაში“; მეცხრამეტე საუკუნის ქართული კულტურა; ევროპულ კულტურასთან ზიარება; მეოცე საუკუნის ქართული კულტურა.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსის საქართველოს ისტორია ათვისება

7. არჩევითი კურსი (5 კრედიტი)

ა) მასწავლებლის პედაგოგიური ხელოვნება

კურსის კოდი: PPB0071

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მასწავლებლის პროფინაგაცია და პროცესული აქტივობა. პედაგოგიური აქტივობის არსი, მასწავლებლისადმი წაყენებული ინოვაციური მეთოდები, მასწავლებელი ლიდერი, პედაგოგიური პროცესის ტექნოლოგიის საფუძვლები, სწავლების ხელოვნება და განათლების თანამედროვე თეორიები, მასწავლებლის არტისტიზმი მზგავსება და განსხვავება სამასწავლებლო და სამსახიობო აქტივობებს შორის., „თეატრალური პედაგოგია“, მასწავლებლისა და მოსწავლის თვითმემოქმედების პროცესში.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსების: ზოგადი ფსიქოლოგია; ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია; პედაგოგიკის ზოგად საფუძვლები; სწავლების თეორია; აღზრდის თეორია; დეფექტოლოგია- ლოგოპედია და ინკლუზიური სწავლება; სკოლათმცოდნეობა ათვისება

ბ) საგანმანათლებლო სისტემები

კურსის კოდი: PPB0121

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: „საგანმანათლებლო სისტემების საერთო დახასიათება“. სისტემების სახეობები. სოციალური სისტემის დახასიათება. თანამედროვე სკოლის რეფორმირების მიზეზები. 12-წლიანი სკოლის სტრუქტურა. საბაზისო სასწავლო გეგმა. განათლების შინაარსის განახლება. საგანმანათლებლო ტექნოლოგიები და კონტროლის სისტემები. საგანმანათლებლო პროცესის მეთოდები. საგანმანათლებლო პროცესის მიზნები. საგანმანათლებლო მიზნების შინაარსი. პედაგოგიური მიზნები და საგანმანათლებლო სტანდარტი. `დიდაქტიკური სისტემები`. სწავლების პროცესი, როგორც სისტემა. სწავლების არსის, როგორც განსაკუთრებული სახით ორგანიზებული ურთიერთობის შესახებ. სწავლება, როგორც მასწავლებლისა და შემსწავლელის ურთიერთობის აქტი. სწავლების პროცესის სტრუქტურა. სწავლების პროცესის კომპონენტების, შემადგენლობა და შინაარსი, სწავლების პროცესის კომპონენტების ფუნქციები, სწავლების პროცესის კომპონენტების ურთიერთკავშირი, სწავლის არსი, შინაარსი და სტრუქტურა. სწავლების ცნება, სწავლის დახასიათება სისტემური მიდგომის თვალსაზრისით, მოსწავლე, როგორც სასწავლო მოღვაწეობის სუბიექტი დიდაქტიკური კონცეფციები, სოციალური, გამოცდილების ათვისების კონცეფციები, სასწავლო საქმიანობა, როგორც მთლიანი პედაგოგიური სისტემა, აღზრდის თეორიითი სისტემის არსი შინაარსი, სტრუქტურა და მიზანი, მოსწავლეთა კოლექტივის განვითარება, მშობელთა პედაგოგიზაცია. (მშობელთა აღზრდა), მოსწავლეთა სასწავლო საქმიანობის მართვა მრავალფეროვან საგანმანათლებლო ტექნოლოგიებში., სწავლების ტიპები, საგანმანათლებლო ტექნოლოგიები

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსების: ზოგადი ფსიქოლოგია; ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია; პედაგოგიკის ზოგად საფუძვლები; სწავლების თეორია; აღზრდის თეორია ათვისება

გ) მუსიკალურ-რიტმული აღზრდა

კურსის კოდი: PMB0161

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: რიტმიკის მნიშვნელობა და ფუნქციები; მუსიკალური სახეების ასახვა მოძრაობაში; მუსიკის საერთო ხასიათის ერთიანი აღქმა გამომსახველი საშუალებების კომპლექსში; ტემპის მნიშვნელობა ნაწარმოების განწყობისა და ხასიათის მოძრაობაში გადმოცემისათვის; მუსიკალური ნაწარმოებების ფორმები და მათი ასახვა მოძრაობაში.

8. პედაგოგიური პრაქტიკა-2 (3 კრედიტი)

კურსის კოდი: PPB0110

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: პრაქტიკის მოსამზადებლად სატუდენტებს უტარდებათ სემინარები, საგნების სწავლების მეთოდებში, პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში. პედაგოგიის ამოცანაა ტუდენტებს გააცნოს პრაქტიკული საქმიანობის პროცესი, სკოლის შეზღავანაწესი, მუშაობის ორგანიზაციისა და აღრიცხვის ფორმები და დოკუმენტაცია.. პრაქტიკის პერიოდში კონკრეტულად წყდება ისეთი საკითხები, როგორცაა: მიღებული თეორიული ცოდნის გარმავება, ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ჩვევების გამომუშავება, პროფესიისადმი სიყვარულის განმტკიცება,

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსების: ზოგადი ფსიქოლოგია; ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია; შრომითი აღზრდა სწავლების მეთოდებით; მუსიკალური აღზრდა სწავლების მეთოდებით; ბუნების მცოდნეობა სწავლების მეთოდებით; ქართული ენის სწავლების მეთოდები; მათემატიკის სწავლების მეთოდები; პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლების; სწავლების თეორია; აღზრდის თეორია ათვისება

IV კურსი , II სემესტრი

1. ქართული ენა - 8 (3 კრედიტი).

კურსის კოდი: PPB0400

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: რთული თანწყობილი წინადადების ტიპები; კავშირები რთულ თანწყობილ წინადადებაში. დამოკიდებულ წინადადებათა სახეები სინტაქსური ფუნქციის საკავშირებლისა და პოზიციის მიხედვით. რთული ქვეწყობილი წინადადება. რთული სინტაქსური კონსტრუქციები. შერეული სახის რთული წინადადება. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი. პუნქტუაცია.

კურსის შესწავლის წინაპირობა: ქართული ენა - 5; ქართული ენა - 6; ქართული ენა - 7.

2. სახვითი ხელოვნების სწავლების მეთოდები (4 კრედიტი).

კურსის კოდი: PMB0240

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ნატურიდან ხატვის სწავლება, სწავლების მეთოდები, პრაქტიკული ხატვა; თემატური ხატვის სწავლებისას მისი სახეობების - დაკვირვების ბაზაზე, ილუსტრირებული და თავისუფალ თემაზე გაკვეთილების წარმართვის ხელოვნება; დეკორატიული ხატვის სწავლების მეთოდები - მარტივი და რთული ორნამენტების, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების შექმნით; მცირეკომპლექტიან ჯგუფებში ხელოვნების გაკვეთილის ჩატარების თავისებურებებით; ფერწერული ნახატის განხილვის მეთოდები; მაპროვოცირებელი შემოქმედებითი საუბრების ჩატარების ხელოვნება; ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების მეთოდები - პრაქტიკული მუშაობებით.

3. განათლების ისტორია (4 კრედიტი)

კურსის კოდი: PPB0030

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: განათლების ისტორიის საგანი, მიზანი, ამოცანები. განათლების ისტორიის საკითხები, მონათმფლობელურ საბერძნეთსა და რომში, განათლების საკითხები იან ამოს კომენსკის პედაგოგიურ მოძღვრებაში, ჟანჟაკ რუსო განათლების საკითხების შესახებ, ი. ჰერბარტის სწავლების თეორია, კ.დ. უმისკი განათლების საკითხების შესახებ, ჰ. პესტალოცი პედაგოგიურ მოძღვრებაში განათლების ისტორიის საკითხები, ა. დისტერვეგი გონებრივი განათლების შესახებ, ა.ს. მაკარენკო განათლების ისტორიის საკითხებზე, ლ. ტოლსტოი განათლების საკითხების შესახებ, განათლების საკითხები საქართველოში უძველესი დროიდან IV საუკუნემდე, განათლების საკითხები ადრეფეოდალურ საქართველოში, განათლების საკითხები XIII-XIV საუკუნეების საქართველოში, ს.ს. ორბელიანისა და დ. გურამიშვილის პედაგოგიურ შეხედულებებში განათლების საკითხები, ი. გოგებაშვილი გონებრივი განათლების შესახებ, ი. ჭავჭავაძე

გონებრივი განათლების შესახებ, განათლების საკითხები „ვებფხისტყაოსანში“, აკ. წერეთელი გონებრივი განათლების საკითხების შესახებ.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსის: პედაგოგიკის ზოგად საფუძვლები; სწავლების თეორია; აღზრდის თეორია; სკოლათმცოდნეობა ათვისება

4. საბავშვო ლიტერატურა (5 კრედიტი)

კურსის კოდი: HGB0290

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: „ქართული საყმაწვილო ლიტერატურის ისტორია“ საერთო ქართული მხატვრული ლიტერატურის ორგანული ნაწილია და მოიცავს პერიოდს მწერლობის დასაბამიდან დღემდე. მისი შესწავლის მიზანია სტუდენტი გაერკვეს საყმაწვილო ლიტერატურის განვითარების ძირიად ტენდენციებსა და ჟანრულ თავისებურებებში. სათანადო წარმოდგენა შეექმნას მხატვრული ლიტერატურის, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სინთეზის შესახებ, ასევე სხვადასხვა ეპოქისათვის ნიშანდობლივი მოვლენების უმთავრესი პრობლემური საკითხები ასახვაზე საყმაწვილო მწერლობაში. შესწავლილი იქნება ცალკეულ მწერალთა ცხოვრების გზა და მნიშვნელოვანი საყმაწვილო ნაწარმოებები.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსის ქართული ლიტერატურის ისტორია ათვისება

5. ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა (4 კრედიტი)

კურსის კოდი: HGB0250

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის საგანი. კურსის ამოცანა; ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის ისტორიიდან; ქართული ლიტერატურის სწავლების ზოგადი პრინციპები; ქართული ლიტერატურის სწავლების ძირითადი მეთოდები; ქართული ლიტერატურის სწავლების სასწავლო-აღმზრდელობითი და ესთეტიკური მნიშვნელობა; ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკათა კავშირი სხვა მეცნიერულ დისციპლინებთან; ქართული ლიტერატურის პროპედეგტიკული კურსი სკოლაში; ქართული ლიტერატურის V-VI კლასების პროგრამები და სახელმძღვანელოები; ტექსტის შესწავლის გზები და საშუალებები; შესავალი მეცადინეობების სახეები; გამომეტყველებითი კითხვის დაუფლების გზები, საშუალებები და სახეები; კომენტირებული კითხვა; ტექსტის შინაარსის გადმოცემა, პერსონაჟის თავგადასავალი, გეგმის სახეები, გეგმის შედგენის სწავლება; შემაჯამებელი მეცადინეობა. განვლილი მასალის განმეორება; წერითი მუშაობის ჩატარების მეთოდიკა; წერითი ნაშრომების გასწორების მეთოდიკა.

6. მათემატიკის სწავლების მეთოდიკა - 4 (5 კრედიტი)

კურსის კოდი: PMB0130

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სკოლამდელთა ელემენტარული მათემატიკური წარმოდგენის ფორმირების მნიშვნელობა, ამოცანები და შინაარსი. საბავშვო ბაღებში ელემენტარული მათემატიკური წარმოდგენების პროგრამის შინაარსი და მოკლე ანალიზი. სიმრავლე. რაოდენობა. რიცხვი და თვლა (წარმოდგენების ფორმირება). სიმრავლე სკოლამდელისათვის. რაოდენობის აღქმის განვითარების ამოცანები. რიცხვის წარმოდგენის ფორმირება სკოლამდელ ასაკში. სიდიდეებზე წარმოდგენების ფორმირება. ელემენტარული მათემატიკის სწავლების პროცესში გამოყენებული მეთოდები და ხერხები. მეცადინეობის ჩატარების მეთოდიკა და მისი ორგანიზაციის სპეციფიკა. თვალსაჩინოება მეცადინეობაზე.

7. არჩევითი კურსი (5 კრედიტი)

ა) ფიზიკური აღზრდის სწავლების მეთოდიკით

კურსის კოდი: PMB0251

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ტანვარჯიშისა და მძლეოსნობის ზოგიერთი სახეობები, მოძრაობა და სპორტთამაშები, ფიზიკური აღზრდის ფორმები და საშუალებები, ფიზიკური თვისებები, სწავლების პრინციპები და მეთოდები ფიზალზრდაში.

ბ) საგუნდო კლასი

კურსის კოდი: PMB0221

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საგუნდო კლასის რაობა; საგუნდო კოლექტივების განლაგება; საგუნდო ხელოვნების განვითარება საქართველოში და გუნდის თვისებები, მისი ტიპები; საგუნდო ხმოვანების ანსამბლი და წყობა; ხმის განსაზღვრის ძირითადი პრინციპები; საგუნდო პარტიების დახასიათება; ნაწარმოების შესწავლა გუნდში.

8. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.